# ფიზიკური აღზრდა-პირველივე დღიდან!

**მოახლოვდა** სექტემბერი, უკვე ის დროა, თანდათან რომ ბრუნდებიან ბავშვები პიონერული ბანაკებიდან, მთის კურორტებიდან, ზღვისპირეთიდან...

მალე დაიწყება ახალი სასწავლო წელი.

მანამდე კი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მშენებლები განთიადიდან გვიან ღამემდის შეუსვენებლად შრომობენ 66 ახალი საშუალო სკოლის კეთილმოწყობილი შენობების დასამთავრებლად.

თბილისში 1-ლი სექტემბრისათვის მწყობრში ჩადგება 4 ახალი საშუალო სკოლა. ერთ-ერთი მათგანი ნუცუბიძის პლატოზე, III მიკრორაიონში შენდება. რიგით 171-ე საშუალო სკოლის (დირექტორი ნ. ტატიშვილი) მშენებლობა გასული წლის IV კვარტალში დაიწყო მე-3 სამშენებლო სამინისტროს №2 ტრესტის (მმართველი ტ. ჩიქვინიძე) მე-3 სამშენებლო სამმართველომ (უფროსი ვ. ჭურაძე) და სულ მალე პლატოზე ლამაზად შეფენილ საცხოვრებლებს შეემატება კეთილმოწყობილი ოთხსართულიანი სასკოლო შენობა, რომელიც ფართოდ გაუხსნის კარს 1256 მოსწავლეს. ახალ სკოლაში ძირითადი სამუშაოები თითქმის დამთავრებულია, მზად არის საკლასო ოთახები, ლაბორატორიები, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი საქმეა გასაკეთებელი სპორტულ დარბაზში. გასასუფთავებელია სკოლის ეზო, მოსაწყობია მარტივი ტიპის მოედანი...

1 სექტემბრამდე კი მხოლოდ 10 დღე დარჩა. სულ მალე გამოჩნდებიან ქუჩებში ბავშვები და სკოლის დერეფნებს გამოაცოცხლებს მათი ჟრიამული...

საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ სწავლის დაწყების პირველივე დღეებიდან დავიწყოთ მათი ფიზიკური აღზრდა, ფიზკულტურასთან დამეგობრება. ეს კი სწორედ სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე უნდა მოხდეს.

**ა. ლორთქიფანიძე.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** 171-ე საშუალო სკოლის სპორტული დარბაზისა და საცურაო აუზის მშენებლობაზე.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.




პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 161 (6972)

20 აგვისტო. 1981 წ. ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში

## მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა—თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე

ამას წინათ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა განიხილა საკითხი, თუ როგორ მუშაობს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი ქალაქის შრომით კოლექტივებში სპორტული და მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გასაუმჯობესებლად პარტიის საქალაქო კომიტეტის 1980 წლის 14 მარტის დადგენილების შესაბამისად.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ბოლო დროს ქალაქის პარტიულმა, საბჭოთა, კომკავშირულმა, სამეურნეო და სასპორტო ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ შესრულდეს ზემოაღნიშნული დადგენილება და განხორციელდეს 38-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწოდება „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად“.

მეტი წილი პარტიის რაიკომის იდეოლოგიურ კომისიებთან შექმნილია ფიზიკური კულტურისა და სპორტის სექციები, რომელთა ფუნქციაში შედის ღონისძიებათა კოორდინაცია, ძირეული სპორტული ორგანიზაციების მუშაობის დადებითი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება.

გაუმჯობესდა საწარმოთა მთელი რიგი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ადგილებზე მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის გაუმჯობესებაზე საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა ქალაქის რაიონების სოციალისტური შეჯიბრების მეთოდოლოგიურ მონაცემებში მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის საკითხების შეტანამ.

ამასთან ერთად მდგომარეობა ყველგან არ გაუმჯობესებულა. არის მასობრივი ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მნიშვნელობის შეუფასებლობის ფაქტები. მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში არ ეწყობა საწარმოო ტანვარჯიში, დაბალია სექციების მუშაობის დონე, ეპიზოდური ხასიათი აქვს ტურისტულ ლაშქრობებსა და ექსკურსიებს. ნელი ტემპით მიმდინარეობს ზოგიერთი სასპორტო მოედნისა და ნაგებობის რეკონსტრუქცია და კეთილმოწყობა.

პურის № 7 ქარხანაში, საპნის ქარხანაში, პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის მდგომარეობა ძველებურად არადამაკმაყოფილებელია, თავმინებებულია სპორტული მოედანი.

თვითდინებაზეა მიშვებული მუშაობა ვოლგის ავტოქარხნის ავტოცენტრში, ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანაში. სერიოზული ნაკლოვანებები აქვს მასობრივ სპორტულ მუშაობას „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებაში. კეთილმოუწყობელია საინსტრუმენტო ქარხნის საცურავი აუზი. შესაკეთებელია დამხმარე ნაგებობები, ძირეულ გაუმჯობესებას საჭიროებს მთელი მასობრივი ფიზკულტურული მუშაობა.

მიღებულ დადგენილებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროში თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს, საწარმოებისა და დაწესებულებების, შრომითი კოლექტივების პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს ურჩია განაგრძონ მუშაობა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 14 მარტის დადგენილების შესასრულებლად თბილისის 38-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის მოთხოვნების გათვალისწინებით.

დადგენილებით პარტიის რაიონულ კომიტეტებს, რაიაღმასკომებს, კომკავშირის რაიკომებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ ორგანიზატორული მუშაობა ამ მიმართულებით, დასახონ და განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებები მთელი რიგი საწარმოების ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის არსებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რეგულარულად შეისწავლონ და ბიუროს სხდომებზე განიხილონ შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას, კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტს, ქალაქის სპორტკომიტეტს რეკომენდაცია მიეცათ რეგულარულად შეისწავლონ ცალკეულ რაიონებსა და ქალაქის მსხვილ საწარმოებში, დაწესებულებებში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხები, განაზოგადონ და გაავრცელონ ძირეული საწარმოო ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

მიღებული დადგენილების შესაბამისად გადაწყდა წლევანდელი წელინადის დამლევამდე პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ მოისმინოს ორი პარტიის რაიკომის პირველი მდივნების და ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი საწარმოს ხელმძღვანელის ანგარიში, თუ რას აკეთებენ, რათა ხორცი შეესხას 38-ე საქალაქო პარტიული კონფერენციის მოწოდებას „გადავაქციოთ თბილისი მასობრივი ფიზიკური კულტურის ქალაქად“.

რესპუბლიკის სახტელერადიოს (ნ. ფოფხაძე) და საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის (ა. დვალიშვილი) წინაშე დაისვა საკითხი, რომ მომზადდეს ტელეგადაცემები და შეიქმნას კინოფილმები, რომლებშიც პროპაგანდა გაეწევა შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სუსტად მიმდინარეობს მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ვოლგის ავტოქარხნის ავტოცენტრში (გ. ხაზარაძე, ნ. ბარამიძე), № 7 პურის ქარხანაში (ი. თოფურიძე, გ. გოგოლაძე), პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკაში (ნ. სვანიშვილი, პ. ილაშვილი), ფოლად-თუჯსასხმელ ქარხანაში (ო. ჩიგოგიძე, ო. საბანაძე), საინსტრუმენტო ქარხანაში (შ. ქოიავა, გ. კახიშვილი), „ელექტროაპარატის“ საწარმოო გაერთიანებაში (ა. ხუროძე, ა. თალაკვაძე).

საქალაქო გაზეთებს „თბილისსა“ და „ვეჩერნი თბილისს“ წინადადება მიეცათ განაგრძონ მასალების გამოქვეყნება, რომლებიც ასახავენ ქალაქის შრომით კოლექტივებში მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის მდგომარეობას, ფართოდ გაუწიონ პროპაგანდა დადებით გამოცდილებას, მიაღწიონ გამოსვლების ქმედითობის ამაღლებას არსებული ნაკლოვანებებისა და ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

## საქართველოს ნორჩ ფეხბურთელთა წარმატება

— ✦ —

## „სიჭაბუკის თასი“— მეშვიდედ!

**გუშინ** დასრულდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პრიზის — „სიჭაბუკის თასის“ ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური გათამაშება. დასრულდა იგი საქართველოს ნაკრების შესანიშნავი გამარჯვებით, რომელმაც ეს უკვე მეშვიდედ მოიპოვა საპატიო პრიზი.

საქართველოს ნაკრებს ბოლო მატჩი ჰქონდა ლიტვის გუნდთან. მართალია, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს ფრეც ყოფნიდათ, მაგრამ მათ კვლავ მთელი მონდომებით ითამაშეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 2:0. პირველი ტაიმის დაძაბულ ბრძოლას შედეგი არ მოჰყოლია. შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა გააძლიერა შეტევები, მე-40 წუთზე ანგარიში გახსნა შალამბერიძემ, 7 წუთის შემდეგ კერესელიძემ მეორედ აილო ლიტველთა კარი — 2:0.

**„სიჭაბუკის თასის“ ფინალურ გათამაშებაში ჩვენმა ფეხბურთელებმა საუკეთესო მზადყოფნა გამოავლინეს (მწვრთნელები ჯ. ჯანელიძე, რ. მელიქიძე, რ. შარაშენიძე) და დამსახურებულად დაეუფლნენ პრიზს.**

დღისით გაიმართა შეჯიბრების ბოლო ტურის 2 შეხვედრა. უკრაინელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს მოსკოვის ნაკრები, ხოლო სომხეთის გუნდისა და „შრომითი რეზერვების“ ნაკრების შეხვედრა დამთავრდა სომხეთის გუნდის გამარჯვებით — 3:0.

II ადგილი დაიკავა უკრაინის გუნდმა, III — სომხეთის ნაკრებმა.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | 16—4 | 9 |
| უკრაინა | 5 | 3 | 2 | 0 | 7—2 | 8 |
| სომხეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 8—7 | 7 |
| ლიტვა | 5 | 1 | 1 | 3 | 1—7 | 3 |
| მოსკოვი | 5 | 1 | 0 | 4 | 3—7 | 2 |
| „შრ. რეზერ.“ | 5 | 0 | 1 | 4 | 2—10 | 1 |

ფიზიკური კულტურა — ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

# არაგვის ხეობაში...

**საქართველოს** სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს სპორტულ-გამაჯანსაღებელმა ბანაკმა (დირექტორი გ. ბუჩაშვილი) მთიულეთის არაგვის ლამაზ ხეობაში, დუშეთის რაიონის სოფელ ჩირიკის რვაწლიანი სკოლის შენობაში დაიდო ბინა. აქ 1 ივლისიდან ორ ნაკადად ისვენებს და სხეულს იკაჟებს 340-მდე მოზარდი — საგარეჯოს, გორის, კასპის, ლანჩხუთის, დუშეთის სპორტული სკოლების ნორჩი ძიუდოისტები და სამბისტები.

ბიჭები ბანაკის გახსნის პირველივე დღიდან გამრჯედ დატრიალდნენ: სკოლის ეზოში მოზრდილი სახანძრო აუზი დაასუფთავეს, კამკამა წყლით აავსეს და მშვენიერი საჭყუმპალაო მოაწყვეს. არც სიგრძეზე და სიმაღლეზე სახტომი ორმოების მოწყობა დაიზარეს, ცოტა მოშორებით კი საჭიდაო სარბიელიც გაუკეთეს.

დილიდან დაბინდებამდე არ წყდება ბიჭების მხიარული ჟივილ-ხივილი არაგვის ხეობაში. ნორჩები ხალისიანად ატარებენ დღეებს, ხვეწენ სპორტულ ოსტატობას, სწავლობენ ახალ ილეთებს. პატარებს ზრუნვასა და ყურადღებას არ აკლებენ გამოცდილი მწვრთნელები ი. მეკოკიშვილი, ჯ. ნუგზარიშვილი, რ. ყორღანაშვილი, ლ. კაციაშვილი. სისტემატურად ეწყობა შიდასაბანაკო შეჯიბრებები ჭიდაობაში, ცურვაში, მძლეოსნობაში, მთ მრავალჭიდში. ბანაკელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ტრადიციულ სახალხო დღესასწაულებზე „მეცხვარის დღეს" და „ვაჟაობაზე" გამართულ მოჭიდავეთა შეჯიბრებებში. თავი ისახელეს თემურ კურდღელაშვილმა, მამუკა მეკოკიშვილმა, გია გოგოლაურმა და სხვებმა.

საბანაკო ცხოვრება მარტო წვრთნითა და სპორტული შეჯიბრებებით არ ამოიწურება. ბავშვები სისტემატურად აწყობენ ლაშქრობებს. ინტერესით ათვალიერებენ ძველ ციხე-კოშკებს. ნორჩი სპორტსმენები საზაფხულო იალაღებზე მყოფი დუშელი მეცხვარეების ხშირი სტუმრები არიან. ეცნობიან მწყემსთა ძნელ და საპატიო შრომას, ეხმარებიან სოფლის მშრომელებს.

კიდევ რამდენიმე დღეც და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკის აღსაზრდელები გაჯანსაღებულნი და გაკაჟებულნი დაუბრუნდებიან მშობლიურ სკოლებს, მათ დიდხანს ემახსოვრებათ არაგვის ხეობაში გატარებული ხალისიანი დღეები, რომელიც სპორტული მწვერვალებისაკენ მიმავალი დიდი და ძნელადსავალი გზის დასაწყისია.

**ზ. ხიანაიძე.**

* * *

**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე:** ჩირიკის სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში.

ზ. კუსრაშვილის ფოტოები.





# მზექალას ოთხი სიგელი

**საქართველოს** პროფსაბჭოს ოლიმპიური რეზერვის მძლეოსნობის სკოლის ბანაკში, რომელიც ბაკურიანშია მოწყობილი, 100-მდე ნორჩი სპორტსმენი ისვენებს და კაჟდება.

სპორტსმენები ბევრს ვარჯიშობენ, მართავენ სხვადასხვა შეჯიბრებებს. ამას წინათ, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, აქ ჩატარდა საინტერესო ასპარეზობანი სხვადასხვა ასაკის გოგო-ბიჭებს შორის: 30, 60 და 100 მეტრზე რბენაში, კროსში 300 და 500 მეტრზე, ჭადრაკში, შაშში, მაგიდის ჩოგბურთში, გამორბენით სიგრძეზე ხტომასა და ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში. როგორც ცნობილია, მსოფლიო რეკორდსმენი სპორტის ამ სახეობაში თბილისში ცხოვრობს. ეს არის სპორტის დამსახურებული ოსტატი დიმიტრო იოსელიანი — ამჟამად საქართველოს პროფსაბჭოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტული სკოლის დირექტორი.

ნორჩებმა სწორედ მის პატივსაცემად ჩაატარეს ეს უკანასკნელი შეჯიბრება. ცხარე ბრძოლის შემდეგ დ. იოსელიანის პრიზები მოიპოვეს 13 წლის მზექალა ჯაჯანიძემ და 15 წლის ზაზა კობერიძემ.

30-მეტრიან დისტანციაზე რბენაში I ადგილები დაიკავეს ნიაზ ნაბიევმა (4,8 წამი) და ელენე კინიამ (4,9), 60 მეტრზე — ვიაჩესლავ კლიმოვმა (7,5) და მზექალა ჯაჯანიძემ (8,6). კროსში 300 მეტრზე კვლავ ბადალი არ ჰყავდა ჯაჯანიძეს (47,1), ვაჟებში 500-მეტრიანი დისტანცია ყველაზე სწრაფად გოჩა შაიშმელაშვილმა გაირბინა (1.22,9).

სიგრძეზე ხტომაში ისევ და ისევ მზექალამ იყოჩაღა — 4,39. ბიჭებში გაიმარჯვა გია შინჯიკაშვილმა — 5,71. სხვათა შორის გიამ 100 მეტრზე რბენაშიც ისახელა თავი (12,12).

ჭადრაკში, შაშში და მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონები გახდნენ შესაბამისად ზაალ შამათავა, გია გობეჩიშვილი და დავით ქვანია.

მზექალა! ეს სახელი ჩვენს წერილში ოთხჯერ ვახსენეთ. დიახ, ამ ნიჭიერმა გოგონამ 4 პირველი ადგილი — 4 სიგელი მოიპოვა. მზექალა გარდაბნის რაიონის სოფელ მზიანეთში ცხოვრობს. იგი ოსტატობის კანდიდატია, შრომისმოყვარე გოგონა ბევრს კითხულობს, შრომობს, კარგად სწავლობს. საწოლთან თავისი კერპების ვიქტორ სანეევისა და ტატიანა კაზანკინას სურათები აქვს გაკრული. ოცნებობს თვითონაც გახდეს ასეთი, მერე კი მწვრთნელის პროფესიას დაეუფლოს.

სხვათა შორის, იგი უკვე დიდებსაც უგებს. ასე იყო გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ აღმოსავლეთის ზონების პირველობაზე, რომელიც რუსთავში გაიმართა. მზექალა აქ 16–17 წლის გოგონებს ეჯიბრებოდა და დამაჯერებლად გაიმარჯვა 800 და 1500 მეტრზე რბენაში.

დასასრულს, ორიოდე სიტყვა ბანაკის სპორტული „ბაზის" შესახებ. სამწუხაროდ, აქ მხოლოდ ერთადერთი სატანვარჯიშო ძელი, ჩოგბურთის მაგიდა და სიგრძეზე სახტომი ორმოა. სპორტული ინვენტარის უქონლობაც ხელს უშლის ნორჩებს ვარჯიშსა და შეჯიბრებების ჩატარებას. შხაპებსა და აბანოზე, ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

**სოფიო ხეთაგაშვილი,**

(„ლელოს" კორ.).

ბაკურიანი.

ვაი, სირცხვილო!

# ავად ზრდილი გამზრდელი

**გამზრდელის** ცემა მარტოოდენ ავად ზრდილი ყრმისათვის როდი გვმართებს. ისიც შესაძლოა, რომ თავად გამზრდელი აღმოჩნდეს ავად ზრდილი...

ბაკურიანის სათხილამურო სპორტის სპეციალიზებულ ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის მწვრთნელს ყაზბეგ ლალიევს მარტო მოზარდ სპორტსმენთა დაოსტატების საქმე როდი ებარა. ვაჟკაცობა, გულითადობა, მაღალზნეობრიობა სპორტსმენის უპირველესი თვისებაა, მაგრამ, ვაი რომ ამ თვისებებს ყ. ლალიევი თავის აღსაზრდელებს ვერ უნერგავდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ კაცურკაცობის ზნეობრივი სალარო თავად აღმოაჩნდა დაცლილი და დაწრეტილი.

ერთ მშვენიერ დღეს ყ. ლალიევმა რესტორანში მიიწვია ბაკურიანში ჩამოსული ხარკოველი ტურისტები. მათ შორის იყო ნატალია ო. სტუმრები აღტაცებით ისმენდნენ მასპინძლის სადღეგრძელოებს ვაჟკაცობაზე, რაინდობაზე, ქალის პატივისცემაზე და არც არავს გაჰკვირვებია, როცა გვიან ღამით ნაქეიფარმა ყ. ლალიევმა სტუმარი ქალის გაცილება ითავა. ტურბაზამდე ავტობუსით მივიდნენ, მაგრამ ყ. ლალიევმა ქალს იქ ჩასვლა არ დაანება და ცოტა კიდევ გავისეირნოთო, ძალით დატოვა ავტობუსში. როცა ავტობუსი ახლა სხვა გაჩერებაზე გაჩერდა, ხარკოველი სტუმარი ხელიდან გაუსხლტა მასპინძელს და ავტობუსიდან ჩახტა. ყ. ლალიევი ქალს დაედევნა, წამოეწია და ცემა დაუწყო. ღონემიხდილი და ნაცემი ქალი, როცა უკვე ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის უნარი წაერთვა, ყ. ლალიევმა სადღეღამისო ავტოსადგომის საყარაულო ჯიხურში შეათრია...

შერცხვენილი და ლაფდასხმული წავიდა ყ. ლალიევი გაძლიერებული რეჟიმის შრომაგასწორების კოლონიაში, მაგრამ ლაქა, რომელიც მან თავის კოლექტივს დაუტოვა, დიდხანს ვერ ჩამოირეცხება, რადგან, როგორც ჩანს, ბაკურიანის სადაბო საბჭოს აღმასკომში, მის ტერიტორიულ ორგანიზაციებში მართლწესრიგისათვის ბრძოლაში, მშრომელთა სულიერი და ზნეობრივი აღზრდის სფეროში ყველაფერი რიგზე ვერ არის.

**გ. ვაშაკიძე.**

„კომუნისტის" საკ. კორ.

გაზეთი „კომუნისტი"

18.VIII.81

# სტადიონზე არიან მეხანძრეები

**ახლახან სამტრედიაში დამთავრდა საქართველოს პირადგუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებით სპორტში.**

სტარტზე თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, ფოთის, რუსთავის, მახარაძის, ახალციხისა და სამტრედიის 100-ზე მეტი სპორტსმენი გამოვიდა. გუნდურ პირველობაში უძლიერესები იყვნენ დედაქალაქის მეხანძრეები, რომლებმაც 29753 ქულა მოაგროვეს. 27924 ქულით II ადგილზე გავიდა აჭარის გუნდი, ხოლო მესამეზე — რუსთავის წარმომადგენლები — 22517.

საიერიშო კიბით საუკეთესო შედეგი აჩვენა თბილისის წარმომადგენელმა თ. კიზირიამ, მისი შედეგია — 14,9. მეორე იყო ა. ოგანეზოვი (რუსთავი) — 15,0, მესამე — ი. სიმვულიდი (აჭარა) — 15,5.

100 მეტრზე წინაღობათა ზოლის გადალახვაში ყველას აჯობა სპორტის ოსტატმა, სსრ კავშირის ნაკრების წევრმა რ. სიხარულიძემ — 16,9. მეორე ადგილზე გავიდა თბილისელი ი. ორლოვი, მესამეზე — თ. ბოლქვაძე (აჭარა).

საბრძოლო გაშლაში კარგად იასპარეზეს ქუთაისელმა მეხანძრეებმა დ. გაბუნიას, ნ. ხიდაშელის, ა. გურეშიძის, რ. მაცაბერიძის, ტ. ცაგარეიშვილის, ზ. ცქიფურიშვილისა და ე. ბაბუნაშვილის შემადგენლობით — 67,8.

ორჭიდში, როგორც მოსალოდნელი იყო, ძირითადად ბრძოლა გაიმართა თბილისელ რ. სიხარულიძესა და გამოცდილ თ. კიზირიას შორის. გაიმარჯვა სიხარულიძემ. მისი შედეგია 17,2, 14,9, და 32,1. II ადგილზეა კიზირია, მესამეზე — თ. ბოლქვაძე (აჭარა).

სასწავლო კოშკის მესამე სართულზე გასაშლელი კიბით ასვლაში საუკეთესონი იყვნენ აჭარის მეხანძრეები, II ადგილზე გავიდნენ რუსთავის, ხოლო მესამეზე — აფხაზეთის სპორტსმენები. ასპარეზობის დასკვნითი დღე 4X100 მ სახანძრო ესტაფეტას დაეთმო. შეჯიბრების ამ სახეობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა (რ. სიხარულიძე, თ. კიზირია, ი. ორლოვი, გ. სარქისოვი) — 69,0. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ აჭარის მეორე და პირველი გუნდები.

**შეჯიბრების** შედეგების გაანალიზება ვთხოვეთ სახანძრო-გამოყენებითი სპორტის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს სსრ შსს სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსის მოადგილეს, პოდპოლკოვნიკ **დ. ხურმავას.** მან თქვა — შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩატარდა ახლადაგებულ სპეციალურ სტადიონზე. ნაჩვენები იქნა მაღალი შედეგები. გაგვახარეს ლიდერებმა რ. სიხარულიძემ და თ. კიზირიამ. ბათუმელმა ი. სიმვულიდიმ პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი. კონკურსგარეშე პირველად იასპარეზეს სამტრედიელმა მეხანძრეებმა. ახლა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი მონაწილეობას მიიღებს სპორტსაზოგადოებათა და უწყებების საკავშირო პირველობაში.

**ა. მალაიანცი,**

**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

# ვემზადოთ საფეხბურთო ზეიმისთვის!

**ამბობენ,** რომ დიდებული დრამატურგი იქ წარმოიშვება, სადაც დიდებული მაყურებელია და ეს გამოთქმა შეიძლება გადავიტანოთ ფეხბურთზეც იმ განსხვავებით, რომ აქ მაყურებლის ავკარგიანობას უშუალოდ სათამაშო მინდვრისა და თვით სტადიონის კეთილმოწყობაც უნდა დაემატოს.

ყველაფერი ეს კი ნამდვილ საფეხბურთო ზეიმს ქმნის, რის შესახებაც ამ ბოლო ხანს განსაკუთრებით ბევრს ლაპარაკობენ და წერენ.

აი, რას წერს „სოვეტსკი სპორტის" ერთ-ერთ ბოლო ნომერში ამავე გაზეთის ფეხბურთის განყოფილების გამგე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ პონედელნიკი წერილში სათაურით — „ფეხბურთზე — როგორც ზეიმზე".

ამას წინათ რიაზანში მეორე ლიგის გუნდების ადგილობრივი „სპარტაკისა" და ჩერეპოვეცის „სტროიტელის" შეხვედრას დავესწარი. უნდა ვთქვა, რომ მოხიბლული დავრჩი ამ ძველი რუსული ქალაქის სტადიონით. სისუფთავე, წესრიგი, მოხერხებული დასაჯდომი ადგილები მაყურებელთათვის. მატჩის დაწყებამდე რადიომ გადმოსცა დაწვრილებითი ინფორმაცია სტუმრების გუნდის შესახებ (იგი შესვენებაზეც გაიმეორეს). ჩემი ყურადღება მიიპყრო სტადიონზე მოსული ბავშვების დიდმა რაოდენობამ. იქ მათ ტრადიციისამებრ უფასოდ უშვებენ...

ერთი სიტყვით, მშრომელები სამუშაო კვირის ბოლოს ფეხბურთზე ისე მიდიან, როგორც ნამდვილ ზეიმზე.

ბუნებრივია, რომ ფეხბურთის მოყვარულები, რომელთაც საჩუქრად მიიღეს ასეთი დიდებული სტადიონი, ოცნებობენ თავიანთი გუნდი მარტო ლიდერთა შორის კი არა, არამედ პირველ ლიგაშიც იხილონ...

ჩვენში არის უამრავი სტადიონი და სპორტული ბაზა, მაგრამ როგორც წესი, ყურადღებას მხოლოდ იმ სტადიონებს ვაქცევთ, სადაც უმაღლესი ლიგის კლუბები გამოდიან. ფეხბურთი კი ყველას ერთნაირად იზიდავს, როგორც დიდ ქალაქებში, ისე ნებისმიერ რაიონულ ცენტრსა თუ დაბაში. ამიტომ დიდი ფეხბურთის ყველა სიკეთე პატარა სტადიონებსაც უნდა გავუზიაროთ.

ამის ბრწყინვალე მაგალითია — თბილისის „დინამოს" სპორტკომბინატისა და რაიონული ცენტრის — ლანჩხუთის თანამშრომლობა. ამ ქალაქის „გურია" უკვე რამდენიმე წელია, რაც პირველ ლიგაში თამაშობს. მათ გადაიღეს ყველაფერი კარგი, რაც კი თბილისელებს აქვთ, ეს შესანიშნავი სტადიონი, სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ენთუზიასტთა — ფეხბურთის მოყვარულთა ხელითაც აშენდა. ისინი სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ მუშაობდნენ სტადიონის მშენებლობაზე. ახლა სტადიონი 10-12 ათას მაყურებელს იტევს და აქ ადგილობრივ მკვიდრებთან ერთად თქვენ შეხვდებით ფოთიდან, ბათუმიდან, მახარაძიდან, სამტრედიიდან ჩამოსულ გულშემატკივრებს, რომლებიც საფეხბურთო ზეიმზე მოისწრაფიან.

ამგვარი საზეიმო განწყობილება, სამუშაო კვირის შემდეგ, აუცილებლად უნდა შევქმნათ ყველგან.

რა თქმა უნდა, ის აღიარება, რაც ლანჩხუთელებს საკავშირო პრესის ფურცლებზე ხვდათ, საამაყოა ყოველი ჩვენთაგანისათვის. თუმცა ლანჩხუთი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. მაგალითად საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში გვითხრეს, რომ სამაგალითოდ და გულთბილად ხვდებიან მაყურებლებსა და მეტოქე-ფეხბურთელებს ვანში, სადაც ახლახანს შეკეთდა და კეთილმოეწყო აქაური სტადიონი, განახლდა თელავის სტადიონიც, დიდ ყურადღებას და მზრუნველობას იჩენენ სტუმრებისადმი ტყიბულში, ზესტაფონში, ცხაკაიაში, ზუგდიდში...

დასამახსოვრებელი იყო მაგალითად შარშანდელი გადასასვლელი შეხვედრა სამტრედიაში ადგილობრივ ლოკომოტიველებსა და კოსტრომელ ფეხბურთელებს შორის. ეს მატჩი კოკისპირულ წვიმაში ჩატარდა და მასპინძლებმა, თითქოს ბუნების სიმკაცრისთვის მოიბოდიშესო, სტუმარ-ფეხბურთელებს ქართული შემოდგომის ბარაქით სავსე ხონჩა მიართვეს, რამაც მეტოქეებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა...

მოდით, ვეცადოთ, რომ ყოველი მატჩი ნამდვილ საფეხბურთო ზეიმად იქცეს.

**უ. ჭიჭინაძე.**

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

**მოგვყავს** სსრ კავშირის 44-ე საფეხბურთო ჩემპიონატის განვლილი ტურის ტექნიკური მონაცემები:

**„ფახთაქორი“ — „არარატი“ 3:1 (1:0).** ტაშკენტელმა ნოვიკოვმა 2 გოლი გაიტანა მეტოქის კარში, ხოლო კაბაევმა — მესამე. საპასუხო ბურთი (88-ე წუთზე) კასაბოღლიანზე მოდის.

გაფრთხილებულია ერევნელი პეტროსიანი.

დუბლიორები — 4:0.

**„შახტიორი“ — ცსკა 2:1 (0:0).** მეშახტეთაგან ცსკა-ს კარი დიბჩენკომ და გრაჩოვმა აიღეს, არმიელთაგან გოლი გლუშაკოვმა გაიტანა.

დუბლიორები — 1:0.

**ასკ რ. — „ყუბანი“ 6:1 (4:1).** გამარჯვებულთა გოლები ეკუთვნით იაშინს, ვორობიოვს (2), ზავაროვს, ანდრეევს, გამულას. საპასუხო — კალეშინს.

დუბლიორები — 0:1.

**„ნეფთჩი“ — „ტავრია“ 1:0 (1:0).** ერთადერთი ბურთი — პენალტით გაიტანა პონომარიოვმა. მანვე ვერ შეძლო მეორე პენალტის რეალიზება.

გააფრთხილეს სიმფეროპოლელი აბჟინოვი და ბაქოელი მიხაილევსკი.

**„დინამო“ მ. — „დინამო“ მნ. 0:0.**

გააფრთხილეს მოსკოველი ლატიში.

მატჩს სჯიდა საქართველოს მსაჯთა ბრიგადა: გ. გვანცელაძე, ვ. მიმინოშვილი (თბილისი), მ. კობიაშვილი (გორი).

დუბლიორები — 1:2.

**„დნეპრი“ — „ტორპედო“ 1:1 (0:0).** დაწინაურდა „დნეპრი“ (პოგორელოვი), საპასუხო გოლი გაიტანა ვასილიევმა.

მატჩს სჯიდა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადა: ა. მილჩენკო, ბ. ჩერნიახოვსკი (სოხუმი), ზ. თოდაძე (ქუთაისი).

დუბლიორები — 1:2.

**„სპარტაკი“ — „ზენიტი“ 1:1 (0:0).** სპარტაკელ ჩერენკოვის მიერ გატანილი გოლი გაქვითა კაზაჩონოკმა.

მატჩს სჯიდა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადა: ვ. მიმინოშვილი, გ. გვანცელაძე, გ. სეფიაშვილი (თბილისი).

დუბლიორები — 0:2.

15 აგვისტოს ოდესაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ჩერნომორეცი“ და კიევის „დინამო“. კიეველებმა პირველ ტაიმში გაიტანეს 2 ბურთი (ევტუშენკო, ბლოხინი), შესვენების შემდეგ ლოზინსკიმ 3:0-მდე აიყვანა ანგარიში, რის შემდეგ გორიაჩევმა გაქვითა ერთი გოლი.

დუბლიორები — 1:1.

უმაღლესი ლიგის ბომბარდირთა სიას კვლავ მეთაურობს სპარტაკელი ი. გავრილოვი, რომელმაც 19 ბურთი გაიტანა. 15 გოლია თბილისელი რ. შენგელიას ანგარიშზე, 13-13 ბურთი გაიტანეს კიეველმა ო. ბლოხინმა და ლენინგრადელმა ვ. კაზაჩონოკმა.

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

#### დუბლიორთა შემადგენლობანი

**მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ თბ. | 24 | 16 | 4 | 4 | 51—25 | 36 |
| „დინ.“ კ. | 23 | 16 | 4 | 3 | 41—16 | 36 |
| „შახტ.“ | 23 | 13 | 5 | 5 | 37—24 | 31 |
| „სპარტ.“ | 25 | 12 | 5 | 8 | 46—34 | 29 |
| „ზენიტი“ | 23 | 12 | 4 | 7 | 39—26 | 28 |
| „დინ.“ მნ. | 24 | 10 | 8 | 6 | 41—31 | 28 |
| „დინ.“ მ. | 25 | 10 | 8 | 7 | 41—36 | 28 |
| ცსკა | 25 | 11 | 4 | 10 | 30—35 | 26 |
| „დნეპრი“ | 24 | 10 | 3 | 11 | 38—40 | 23 |
| „ქაირათი“ | 24 | 8 | 7 | 9 | 26—38 | 23 |
| „ნეფთჩი“ | 25 | 6 | 11 | 8 | 28—26 | 23 |
| „არარატი“ | 24 | 8 | 6 | 10 | 21—35 | 22 |
| „ყუბანი“ | 25 | 7 | 7 | 11 | 24—31 | 21 |
| „ჩერნომ.“ | 24 | 7 | 6 | 11 | 24—33 | 20 |
| „ფახთაქ.“ | 25 | 6 | 8 | 11 | 35—40 | 20 |
| „ტორპ.“ | 24 | 6 | 7 | 11 | 23—32 | 19 |
| ასკ რ. | 24 | 5 | 4 | 15 | 21—36 | 14 |
| „ტავრია“ | 25 | 2 | 5 | 18 | 18—46 | 9 |

**ახლახან** კიევში მოეწყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო პირველობა 1966-67 წლებში დაბადებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. შეჯიბრებაში, რომლის ყველა მატჩი „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა, მონაწილეობდნენ თბილისის, მოსკოვის, კიევისა და მინსკის გუნდები.

თბილისის ჭაბუკ ფეხბურთელთა სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვების სკოლის გუნდმა (სკოლის დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ო. უშვერიძე, მწვრთნელები თ. ჩარკვიანი, ნ. აკობია) საუკეთესოდ ჩაატარა გათამაშება, დაამარცხა მოსკოვის თანაკლუბელები — 4:1, მინსკის გუნდი — 1:0, ფრედ ითამაშა კიეველებთან — 1:1, დაიკავა I ადგილი და მოიპოვა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება.

* * *

**სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის დინამოელთა კოლექტივი. ფოტო გადაღებულია კიევის „დინამოს“ სტადიონზე.**



● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

**17 აგვისტოს** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 28-ე ტურის კალენდარული მატჩები.

### „ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 0:0

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 17 აგვისტო.**

**„ტორპედო“: მ. კვერნაძე, ცნობილაძე, გვაძაბია, გ. მაჩაიძე (შელია), ფარულავა, ოქროპირაშვილი (ბურკაძე), მ. მაჩაიძე, ქვირია, ჩქარეული, გაბიჩვაძე, ა. კვერნაძე.**

**„მეტალისტი“: სივუხა, დეგტიარევი, პოტოჩნიაკი, კრიაჩკო, კოსოლაპოვი, ბერდნიკოვი, ლედნეი, გორბიკი, მალკო, ბაჩიაშვილი (ციმბალიუკი), დოვდიი.**

**მსაჯი ს. სტროევი (მინსკი).**

**დუბლიორები — 1:0.**

ქუთაისის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „მეტალისტის“ შეხვედრები მუდამ გამოირჩევა მაღალი დაძაბულობით, ახლა კი, როცა ხარკოველები ლიგის ერთპიროვნული ლიდერები არიან, ხოლო ქუთაისელები მათს სიახლოვეს იმყოფებიან, თამაშს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ტორპედოელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის მსვლელობაში, მაგრამ ხარკოველები, ეტყობა, ელოდნენ მეტოქის იერიშებს, ამიტომ საფუძვლიანად გაამაგრეს თავიანთი დაცვის რიგები და სახიფათო კონტრიერიშები წარმართეს, რომელთა დროსაც მათაც ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობა.

ორჯერ აღმოჩნდა ხელსაყრელ სიტუაციაში მ. მაჩაიძე, შემდეგ — ქვირია, ძელს მოახვედრა ბურთი ა. კვერნაძემ, მაგრამ არც „მეტალისტი“ აკლებდა ხელს და მეკარე მ. კვერნაძეს ძალზე ძნელი ბურთების აღება მოუხდა დოვდიისა და ლედნესგან.

ხშირ ორმხრივ შეტევებს გოლი არ მოჰყოლია, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები.

**შ. ნიჟარაძე,**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

### „გურია“ (ლანჩხუთი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0 (1:0)

**ლანჩხუთი. „კოლხეთის“ სტადიონი. 17 აგვისტო.**

**„გურია“: აბუსერიძე, ჯინჯარაძე, ნემსაძე, გოგოხია, ხომხოშვილი (კვაჯანტირაძე), ებანოიძე (მეშკოვი), კოპალეიშვილი, ქორიძე, ჩხაიძე, დუდა (ტროიანი), მეგრელაძე).**

**„ფაკელი“: მეროვშჩიკოვი, გოსტეევი, სავჩენკო, შიშკინი, პერეგონცევი, ოსიპოვი, სმოროდინი (მხითარიანი), სმირნოვი, ლარიონოვი, შარდიკინი, პიმუშინი.**

**მსაჯი ვ. გრინბერგი (კიევი).**

**დუბლიორები. — 3:3.**

ლანჩხუთელი ფეხბურთელები სრული პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩს და თავიდანვე ხელთ აიღეს ინიციატივა. ხელსაყრელი მდგომარეობები შეექმნათ მეგრელაძეს, კოპალეიშვილს, ჩხაიძეს, შემდეგ აქტიურად ჩაება იერიშებში შეცვლაზე გამოსული ტროიანი და მე-15 წუთზე ანგარიშიც გაიხსნა: ებანოიძემ კარგად გადააწოდა ბურთი ტროიანს და მან ზუსტად დაარტყა კარში — 1:0.

ვორონეჟელები ტაიმის დამთავრებამდე ენერგიულად იბრძოდნენ, საპასუხო ბურთის გატანა შეეძლო პიმუშინს, როცა მან თავით მოახვედრა ძელს ბურთი.

შესვენების შემდეგ ბრძოლა ახალი ძალით გაჩაღდა. „გურიის“ დაცვამ გამოცდილი ქორიძის ხელმძღვანელობით მოიგერია მეტოქის იერიშები, შემდეგ კი თამაშმა „ფაკელის“ მხარეს გადაინაცვლა და საბოლოოდ მასპინძლებმა შეძლეს 2 ქულის აღება.

**ა. ორმოცაძე.**
**(ტელეფონით, ჩვენი კორ.).**

### სხვა მატჩები

ტურის სხვა შედეგები ასეთია: „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „კუზბასი“ (კემეროვო) 2:2, „კოლოსი“ (ნიკოპოლი) — „ტრაქტორი“ (პავლოდარი) 6:0, „კარპატი“ (ლვოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 0:0, „პრიკარპატიე“ (ივანო-ფრანკოვსკი) — ასკ (ხაბაროვსკი) 0:0, „დინამო“ (სტავროპოლი) — „ისკრა“ (სმოლენსკი) 2:3, „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 0:1, „პამირი“ (დუშანბე) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 3:2, „ბუსტონი“ (ჯიზაკი) — „სპარტაკი“ (კოსტრომა) 4:2, „ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:0, ასკ (ოდესა) — ასკ (კიევი) 2:3.

## I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 20 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტ-სტი“ | 28 | 16 | 8 | 4 | 39—17 | 40 |
| „ლოკომ.“ | 28 | 13 | 9 | 6 | 36—20 | 35 |
| „კოლოსი“ | 28 | 13 | 8 | 7 | 40—24 | 34 |
| „ისკრა“ | 28 | 12 | 9 | 7 | 26—20 | 33 |
| „პამირი“ | 28 | 13 | 6 | 9 | 32—25 | 32 |
| „ტორპ.“ | 28 | 14 | 3 | 11 | 31—30 | 31 |
| „ჟალგირ.“ | 28 | 11 | 9 | 8 | 24—23 | 31 |
| „ნისტრუ“ | 28 | 12 | 6 | 10 | 31—27 | 30 |
| „შინიკი“ | 28 | 10 | 9 | 9 | 37—34 | 29 |
| ასკ ოდ. | 28 | 9 | 11 | 8 | 33—26 | 29 |
| „ფაკელი“ | 28 | 11 | 6 | 11 | 28—23 | 28 |
| „სპარ.“ კ. | 28 | 9 | 10 | 9 | 25—27 | 28 |
| „ზარია“ | 28 | 8 | 12 | 8 | 22—25 | 28 |
| ასკ კ. | 28 | 10 | 6 | 12 | 41—46 | 26 |
| „კარპატი“ | 28 | 9 | 8 | 11 | 30—34 | 26 |
| „ტრაქტ.“ | 28 | 8 | 10 | 10 | 26—35 | 26 |
| „დინამო“ | 28 | 8 | 10 | 10 | 25—31 | 26 |
| „მეტ-გი“ | 28 | 8 | 9 | 11 | 32—33 | 25 |
| „გურია“ | 28 | 8 | 9 | 11 | 25—30 | 25 |
| „პრიკარ.“ | 28 | 8 | 7 | 13 | 24—33 | 23 |
| „კუზბასი“ | 28 | 7 | 9 | 12 | 25—32 | 23 |
| „სპ.“ ორ. | 28 | 7 | 9 | 12 | 15—26 | 23 |
| ასკ ხ. | 28 | 8 | 6 | 14 | 22—30 | 22 |
| „ბუსტონი“ | 27 | 7 | 5 | 16 | 21—39 | 19 |

მცირე ხნის შესვენების შემდეგ განახლდა საქართველოს პირველობა ფეხბურთში.

## საქართველოს პირველობა

### პირველი ჯგუფი

#### I ქვეჯგუფი

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ვარძია“ (ასპინძა) 5:4. მსაჯი თ. ფანჯარაშვილი (თბილისი).**

წლეულს მეორედ გააფრთხილეს ასპინძელი გ. კობერიძე.

**„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „თორი“ (ბორჯომი) 4:4. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).**

**ასკ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1, მსაჯი ა. მანუკიანი (თბილისი).**

არმიელი ხუბეჯიშვილის მიერ გატანილი ბურთი მეორე ტაიმში გაქვითა ბექაურმა.

**„სპარტაკი“ (თბილისი) — „ალგეთი“ (მარნეული) 2:0. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).**

ორივე ბურთი პირველ ნახევარში გაიტანეს მათიაშვილმა და ჩაჩუამ.

აღსანიშნავია, რომ მარნეულის „ალგეთმა“ ითამაშა მხოლოდ 9 კაცის შემადგენლობით.

**„ივერია“ (ხაშური) — „კახეთი“ (თელავი) 3:0. მსაჯი ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).**

ბურთები გაიტანეს ტიტვინიძემ (2) და ლომსაძემ.

**„ავიატორი“ (თბილისი) — „ავტომობილისტი“ (თბილისი) 0:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

„ავტომობილისტს“ გამარჯვება მოუტანა მექვაბიშვილის მიერ გატანილმა გოლმა.

**„ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 1:1. მსაჯი ა. კიკაბიძე (მახარაძე).**

ანგარიში 84-ე წუთზე გახსნა ტყიბულელმა ბაბუხადიამ, ბოლო წუთზე კი საპასუხო ბურთი გაიტანა კედელაძემ.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 6:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს გურჯაანელი გ. კირვალიძე, რომელმაც სიტყვიერად შეურაცხყო გვერდითი მსაჯი. გ. კირვალიძე გააძევეს მინდვრიდან, მან კი ამის შემდეგ ხელი გაარტყა დამხმარე მსაჯს. ასევე ხულიგნურად მოიქცა „ალაზნის“ სხვა მოთამაშე რ. ცირეკიძეც. ორივე თავხედ ფეხბურთელს უმკაცრესი სასჯელი ელის.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეშახტე“ | 20 | 12 | 7 | 1 | 52—23 | 31 |
| „სპ. თბ. | 21 | 11 | 7 | 3 | 37—17 | 29 |
| „ივერია“ | 21 | 13 | 3 | 5 | 43—25 | 29 |
| „მაღარ.“ | 20 | 10 | 6 | 4 | 48—25 | 26 |
| „დურუჯი“ | 21 | 11 | 3 | 7 | 38—33 | 25 |
| „ალაზანი“ | 22 | 10 | 4 | 8 | 34—43 | 24 |
| „ქართლი“ | 21 | 9 | 5 | 7 | 37—34 | 23 |
| „მადნ.“ | 20 | 9 | 5 | 6 | 30—28 | 23 |
| „ავიატ.“ | 21 | 9 | 4 | 8 | 30—34 | 22 |
| „კახეთი“ | 20 | 9 | 3 | 8 | 32—26 | 21 |
| „ალგეთი“ | 21 | 7 | 4 | 10 | 27—33 | 18 |
| ფიზკ. ინს. | 21 | 6 | 5 | 10 | 27—33 | 17 |
| „სპარ.“ ცხ. | 21 | 5 | 6 | 10 | 23—33 | 16 |
| „არმაზი“ | 21 | 4 | 7 | 10 | 27—38 | 15 |
| „თორი“ | 21 | 4 | 7 | 10 | 20—31 | 15 |
| „ავტომ.“ | 21 | 4 | 7 | 10 | 19—30 | 15 |
| ასკ თბ. | 19 | 4 | 5 | 10 | 24—41 | 13 |
| „ვარძია“ | 20 | 3 | 4 | 13 | 25—46 | 10 |

#### II ქვეჯგუფი

**„დინამო“ (ქუთაისი) — „იმერეთი“ (წულუკიძე) 1:1. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).**

ქუთაისელი სილაგაძის გოლი ბერძენიშვილმა გაქვითა.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:2. მსაჯი თ. ფარცვანია (ხობი).**

**„ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 1:2. მსაჯი ვ. ჩინოიანი (მახარაძე).**

სტუმართა 2 ბურთს (ახალაია, გუგუჩია) მასპინძლებმა მხოლოდ ერთით (ფრუიძე) უპასუხეს.

გააფრთხილეს „ნაკადულის“ წევრები ა. სიჭინავა და ჯ. ნაჭყებია.

**„სქური“ (წალენჯიხა) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:1. მსაჯი დ. გრიგორაშვილი (თბილისი).**

გამარჯვებულთა გოლები ეკუთვნით ბოჯგუას და ქვარაიას, სტუმრებისა — ოდიშარიას.

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:0. მსაჯი ნ. წურქავა (ფოთი).**

**„ეგრისი“ (ცხაკაია) — „გიგანტი“ (ლაითური) 4:1. მსაჯი მ. მალაფერიძე (ქუთაისი).**

**„მზიური“ (გალი) — „ჩიხურა“ (საჩხერე) 3:1. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).**

გალელთაგან ბურთები გაიტანეს კალანდიამ, ზაქარაიამ და ოსტროვსკიმ, საჩხერელთაგან — ივანოვმა.

მინდვრიდან გაძევებულია საჩხერელი მ. ენუქიძე.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 19 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ ზ. | 20 | 12 | 8 | 0 | 39—10 | 32 |
| „სულორი“ | 20 | 11 | 8 | 1 | 39—14 | 30 |
| „სქური“ | 21 | 9 | 6 | 6 | 26—24 | 24 |
| „ნაკად.“ | 21 | 7 | 10 | 4 | 28—27 | 24 |
| „მერცხ.“ | 20 | 9 | 5 | 6 | 28—24 | 23 |
| „მზიური“ | 21 | 8 | 6 | 7 | 37—31 | 22 |
| „გიგანტი“ | 21 | 7 | 8 | 6 | 32—28 | 22 |
| „მეტალ.“ | 21 | 8 | 6 | 7 | 32—29 | 22 |
| „ჩიხურა“ | 21 | 8 | 5 | 8 | 24—34 | 21 |
| „შუქურა“ | 21 | 7 | 5 | 9 | 28—29 | 19 |
| „ბახმარო“ | 20 | 8 | 3 | 9 | 26—28 | 19 |
| „კოლხეთი“ | 21 | 7 | 5 | 9 | 28—31 | 19 |
| „ენერგ.“ | 21 | 6 | 6 | 9 | 27—29 | 18 |
| „ამირანი“ | 20 | 7 | 4 | 9 | 28—31 | 18 |
| „ეგრისი“ | 21 | 7 | 3 | 11 | 31—41 | 17 |
| „იმერეთი“ | 20 | 5 | 5 | 10 | 18—25 | 15 |
| „სალხინო“ | 21 | 5 | 5 | 11 | 25—35 | 15 |
| „დინ.“ ქ. | 21 | 4 | 4 | 13 | 19—45 | 12 |

### მეორე ჯგუფი

#### I ქვეჯგუფი

„იბერია“ (ქარელი) — „განთიადი“ (კასპი) 3:2, „ენერგეტიკოსი“ (ყინვალი) — „თრიალეთი“ (წალკა) 2:1, „გარისი“ (თეთრი წყარო) — „ფიჩხოვანი“ (ქვემო ალვანი) 6:0, „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „მესხეთი“ (ახალციხე) 3:3, „მაშავერა“ (დმანისი) — „კომპლექსი“ (წნორი) 2:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ზარზმა“ (ადიგენი) 6:2.

გაფრთხილებულია ადიგენელი ი. კარკაძე.

#### II ქვეჯგუფი

„ხვამლი“ (ცაგერი) — „ოჯალეში“ (ბანძა) 2:1, „კოლმეურნე“ (გულრიფში) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 2:2, „განთიადი“ (აბაშა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 0:1, „სენაკი“ (ცხაკაია) — „გეოლოგი“ (სოხუმი) 3:1, „ნარუჯა“ (მახარაძე) — „მექალალდე“ (ზუგდიდი) 0:2.

### ზონალური პირველობა

**აღმოსავლეთი ზონა:** „ნაფარეული“ (თელავი) — „თუშეთი“ (ზემო ალვანი) 6:3, „შირაქი“ (წითელი წყარო) — „დიდი ლილო“ (გარდაბანი) 3:1.

**დასავლეთი ზონა:** „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 5:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „წინსვლა“ (გეგუთი, წყალტუბოს რაიონი) 1:3, „მებოსტნე“ (შუამთა, ვანი) — „შრომითი რეზერვები“ (წულუკიძე) 1:3, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „შრომითი რეზერვები“ (წულუკიძე) 3:2, „წინსვლა“ (გეგუთი) — „მებოსტნე“ (შუამთა) 2:2, ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) 4:1, „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) — „ელემენტი“ (ზესტაფონი) 2:1, „ჩხერიმელა“ (ორჯონიკიძე) — „ქიმიკოსი“ (ამბროლაური) 0:5, „ელემენტი“ (ზესტაფონი) — „კოლხიდმშენი“ (ფოთი) 1:0, „შრომითი რეზერვები“ (წულუკიძე) — „წინსვლა“ (გეგუთი) 4:1, „მებოსტნე“ (შუამთა) — ხის დამმუშავებელი კომბინატი (სამტრედია) 0:1.

აღნიშნულ ზონაში მინდვრიდან გააძევეს სამტრედიელი ა. არუთინიანი, ხოლო მისი თანაგუნდელები ვ. სტურუა და ი. ბარდაკოვი გააფრთხილეს. გააფრთხილეს, აგრეთვე, ამბროლაურელი კ. ვაჩაძე და ზესტაფონელი მ. ბაბუხადია.

**საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველო.**

●

### ტყავის ბურთის პრიზზე

**რიგაში,** ტულასა და ერევანში გრძელდება ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ასპარეზობა „ტყავის ბურთის“ პრიზზე.

რიგის ჯგუფში (უფროსი ასაკი) ნახევარფინალში გასვლის კარგი შანსები აქვს თბილისის № 53 სკოლის „პატარა ვერელს“, ხოლო ერევანში — (საშუალო ასაკი) — რუსთავის „ფოლადს“.

# მეგობრული არმიების სპარტაკიადაზე

**მეგობრული** არმიების ზაფხულის 7 სპარტაკიადაზე რომელიც ბუდაპეშტში მიმდინარეობს, წარმატებით ასპარეზობენ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები. სამი დღის განმავლობაში მათ მოიპოვეს 10 ოქროს მედალი: 2 სროლაში, 2 ძიუდოში, 6 კლასიკურ ჭიდაობაში.

თავისი მაღალი კლასი კვლავ დაამტკიცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მოსკოველმა ვ. ვლასოვმა: მცირეკალიბრიანი შაშხანის სტანდარტში 3X40 მან 1162 ქულა მოაგროვა. მრგვალ სტენდზე გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ევროპის ჩემპიონი ს. შახვოროსტოვი — 195. ასეთივე შედეგით მეორე ადგილზეა პოლონელი ა. სოხალსკი.

კლასიკურ მოჭიდავეთაგან ჩემპიონის ტიტული წილად ხვდათ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს: ვ. ანიკინს, ვ. პივოვაროვს, ვ. არსენიევს, ა. ყანიმოვს, ვ. ჩებრუკოვს და ნ. ბაბიაშვილს. თბილისელმა მძიმეწონოსანმა ა. მაისურაძემ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

საბჭოთა ხელბურთელებმა დაამარცხეს ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი — გდრ-ის სპორტსმენები — 22:18. კალათბურთელმა ვაჟებმა გაიმარჯვეს თავიანთ ქვეჯგუფში და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს.

**გუშინ** საბჭოთა სპორტსმენებმა წარმატებით გააგრძელეს ასპარეზობა. მძლეოსნობაში ოქროს მედლები მოიპოვეს: ი. ტამმა (უროს ტყორცნა — 77 მ 26 სმ), დ. დიმიტრიევმა (5000 მ-ზე რბენა — 13.58,16), ა. გრიგორიევმა (სიმაღლეზე ხტომა — 226 სმ).

ძიუდოისტთა ასპარეზობაში გამოვლინდა კიდევ ორი ჩემპიონი. 78 კგ ათლეტთა შორის გაიმარჯვა ა. კლოიანმა (სსრ კავშირი), 86 კგ წონაში — ი. გრეგორმა (ჩეხოსლოვაკია).

სპარტაკიადა გრძელდება.

# „შეიცვალოს დანაშაულებრივი გადაწყვეტილება!“

**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრების წევრები აშშ-ის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას ნეიტრონული ბომბის წარმოების დაწყების შესახებ პროტესტით შეხვდნენ. მათს განცხადებაში აღნიშნულია, რომ ისინი ერთსულოვნად იზიარებენ ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურის კავშირის ცენტრალური კომიტეტის აზრს და მათთან ერთად კიცხავენ ამ გადაწყვეტილებას.

ჩვენ, როგორც სპორტსმენები, ხშირად ვხვდებით ამერიკელ ჰოკეისტებს, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ გვექნება შესაძლებლობა „კანადის თასის“ გათამაშებაში შევხვდეთ მათ. დარწმუნებული ვართ, რომ არც მათ სურთ იცხოვრონ ახალი რაკეტებისა და ბომბების საფრთხის ქვეშ. მოვითხოვთ, რომ ამერიკის მთავრობამ შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება და ერთხელ და სამუდამოდ უარი თქვას ამ ახალი, არაადამიანური იარაღის წარმოებაზე.

(საკდესი).

● ფეხბურთი

## მატჩი პრაღაში

**18 აგვისტოს** პრაღაში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ჩეხოსლოვაკიისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის.

გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა ანგარიშით 4:0. 2-2 ბურთი გაიტანეს ნეჰოდამ და კოზაკმა.

ევროპის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კონსილიი (ავსტრია. იგი შეცვალა იუგოსლავიელმა პანტელიჩმა), კალცი (გფრ, მეორე ტაიმში იგი შეცვალა ფრანგმა მიშელმა). პეცაი (ავსტრია), სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ზაეცი (იუგოსლავია), უმბერტო (პორტუგალია, შეცვალა ავსტრიელმა პროხაზკამ), ანტონიონი (იტალია), ყიფიანი (სსრ კავშირი), შურიაკი (იუგოსლავია, შეცვალა უნგრელმა ნილაშიმ), ქრანკლი (ავსტრია, შეცვალა ბერძენმა მავროსმა), ბლოხინი (სსრ კავშირი).

## უეფა იტყობინება

**საფეხბურთო** ასოციაციათა ევროპის კავშირმა გამოაქვეყნა 1980-81 წლების ევროპულ საკლუბო გათამაშებათა ზოგიერთი სტატისტიკური მონაცემი.

თითოეულ მატჩში გატანილი ბურთების საშუალო რაოდენობა უდრის 2,83-ს. სულ 254 თამაშში გატანილია 718 ბურთი, აქედან ჩემპიონთა თასზე — 166 (საშუალოდ —2,63), თასების მფლობელთა თასზე — 176 (2,71). ყველაზე მაღალი შედეგიანობა აღინიშნა უეფა-ს თასის მატჩებში — 376 (2,98).

254 მატჩიდან 51 დამთავრდა ფრედ, 4 შეხვედრაში საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა, ხოლო უეფა-ს თასის 2 მატჩში გამარჯვებული გამოვლინდა პენალტების სერიებით.

უეფა-ს სამდივნომ აღნიშნა ისიც, რომ სამივე გათამაშებაში ბრძოლა შეუპოვარი იყო, ყვითელი ბარათი აჩვენეს 1.570 ფეხბურთელს, მინდვრიდან გააძევეს 16 მოთამაშე, ამას გარდა დისკვალიფიცირებულია ერთი სტადიონი.

უეფა-ს მიაჩნია, რომ ახლა ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს იმ გულშემატკივართა ხულიგნური საქციელი, რომლებიც თავიანთ გუნდებს დაჰყვებიან სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში. სამერმისოდ განზრახულია კლუბების მიმართ მიიღონ მკაცრი ზომები იმ თავაშვებულობისთვის, რასაც მაყურებლები სჩადიან.

●

**ფეხბურთელი... ავტობუსზე**

**ბრაზილია.** (საკდესი). პროფესიული ფეხბურთის სამყაროში მოთამაშეთა ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ „ბოტაფოგოს“ ხელმძღვანელობამ გაყიდვას არჩია „ნატურალური გაცვლა.“ როგორც იქაური ჟურნალი „ვიზანი“ იუწყება, „ბოტაფოგომ“ თავისი წამყვანი მოთამაშე რობერტო ნასიმენტო გაცვალა სხვა კლუბის... გაცვეთილ ავტობუსზე.

# ამჯერად მესამე ადგილზე

**17 წლის** თბილისელმა გოგონამ, განთიადელმა ი. გერასიმოვამ მოსკოვში გამართულ მოცურავეთა ჩემპიონატში მოპოვებულ ოქროს მედალს „ბრინჯაოც“ მიუმატა: იგი მესამე იყო 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 2.22,89.

აღსანიშნავია, რომ ამ სახეობაში შეჯიბრება ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, დაძაბული და მიმზიდველი აღმოჩნდა. მომავალი ჩემპიონისა და პრიზიორების ვინაობა ზედ ფინიშის ზღურბლზე გაირკვა. გამარჯვებულმა ო. კლევაკინამ (მოსკოვი) 2.21,30 აჩვენა. ვერცხლის პრიზიორმა ს. კოპჩიკოვამ (პოლტავა) — 2.21,62.

ი. გერასიმოვამ 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაშიც სცადა ძალა და აქ მეოთხე შედეგი — 2.07,23 აჩვენა.

100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ჩემპიონები გახდნენ: ქალთა შორის ლ. ბელკინა (უზბეკეთი) — 1.11,56, ვაჟებში — ა. მისკაროვი (ლატვია) — 1.04,05.

1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში უძლიერესი იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სალნიკოვი (ლენინგრადი) — 15.13,36.

4X100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა მოსკოვის საცურაო ცენტრმა „ვიქტორიამ“. ქალებმა 4.21,40 აჩვენეს, ვაჟებმა — 3.52,17.



## „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“ კიოლნიდან

**გერმანიის** ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კიოლნში ახლახან დამთავრდა ყრუ-მუნჯთა XIV მსოფლიო თამაშები. საქართველოდან წარგზავნილი სპორტული დელეგაციის შემადგენლობაში იყო თავისუფალი სტილის ორი მოჭიდავე, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს და სამშობლოში მედლები ჩამოიტანეს.

გ. დიმიტროვის სახელობის თბილისის საავიაციო ქარხნის მუშამ **ვიქტორ მუსაევმა** 57 კგ წონით კატეგორიაში ჯერ წმინდად დაამარცხა იტალიელი მოჭიდავე, შემდეგ სძლია ირანელს, მაგრამ ფინალში ქულებით წააგო ამერიკელთან. ვ. მუსაევმა II ადგილი დაისაკუთრა და ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა.

ყრუ-მუნჯთა საზოგადოების თბილისის სასწავლო-საწარმოს მუშამ **მიხეილ ქვლივიძემ** 58 კგ წონით კატეგორიაში პირველი შეხვედრა წააგო ამერიკელთან, მეორე ორთაბრძოლაში სუფთად სძლია იტალიელ მოჭიდავეს, ხოლო ფინალში III-IV ადგილისათვის ბრძოლაში დამაჯერებლად მოუგო ბულგარელ ათლეტს. ქართველი ფალავანი ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა. ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეთა მიღწევაში დიდი წვლილი მიუძღვით მათ მწვრთნელებს, სპორტის ოსტატებს ე. სხირტლაძესა და შ. სანაძეს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ ეს წარმატებები გამრავლდა მას შემდეგ, რაც რესპუბლიკაში დიდი ყურადღება დაეთმო ყრუ-მუნჯთა ახალგაზრდებს შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეს, რომლის სათავეში დგას საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი და ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო.

**შ. კულულაშვილი,**
**ყრუ-მუნჯთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.**

სურათებზე: ვ. მუსაევი და მ. ქვლივიძე.
ნ. ფირანიშვილის ფოტო.



● კალათბურთი

## ბურთების შეფარდებამ გადაწყვიტა

**მასპინძელთა** ნაკრები გუნდის გამარჯვებით დამთავრდა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი სან-პაულუში, სადაც გამოდიოდნენ ბრაზილიის, სსრ კავშირის სტუდენტთა, მექსიკის ნაკრები გუნდები და იუგოსლავიის ჩემპიონი „ციბონა“.

პირველი ადგილის ბედი გადაწყვიტა მიღებული და ჩაგდებული ბურთების შეფარდებამ, რომელიც საუკეთესო აღმოაჩნდა ბრაზილიის ნაკრებს.

მეორე ადგილზე გავიდნენ ჩვენი კალათბურთელები.

● ჩოგბურთი

## ფავორიტებს გაუჭირდათ

**კანადის** ღია ჩემპიონატზე, რომელიც მონრეალის კორტებზე ჩატარდა, ერთობ გაუჭირდათ ფავორიტებს. პირველივე ტურში ნაკლებად ცნობილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ტ. უოლტკემ დაამარცხა ჯ. კონორსი (აშშ) — 6:4, 6:3.

მესამე ტურში ბრძოლას გამოეთიშა უიმბლდონის ტურნირის ჩემპიონი ჯ. მაკინროი (აშშ), რომელიც დაამარცხა ინდოელმა ვ. არმიტრაჯმა — 5:7, 7:6, 6:1.

მაღალი კლასი დაამტკიცა მხოლოდ ი. ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია). ფინალში მან საკმაოდ იოლად მოუგო აშშ-ს ერთ-ერთ წამყვან ჩოგბურთელს ე. ტელტჩერს — 6:3, 6:2. აღსანიშნავია, რომ ლენდლმა ზედიზედ მეორედ გაიმარჯვა კანადის ღია ჩემპიონატში.

ასევე სენსაციურად დამთავრდა წყვილთა ასპარეზობა. უიმბლდონის ჩემპიონი მაკინროი და მისი მუდმივი პარტნიორი პ. ფლემინგი დამარცხდნენ ინტერნაციონალურ დუეტთან რ. რამირესი (მექსიკა) — ფ. ტაიგანი (აშშ) — 6:2, 6:7, 4:6.

## „სპორტლოტო“

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოს“ 33-ე ტირაჟებისა, რომელიც 15 აგვისტოს გაიმართა.

**„სპორტლოტო 6 49“-დან:** 6 ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (40 ბარათი) — მოგება 867 მანეთია, ოთხისთვის (1384) — 29 მან, სამისთვის (20934) — 3 მან.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ხუთი ნომრის გამოცნობისთვის (26 ბარათი) მოგება 5178 მანეთია, ოთხისთვის (3289) — 77 მან, სამისთვის (70087) — 4 მან.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 26 აგვისტოდან 26 სექტემბრის ჩათვლით.

# პანორამა

● ჭადრაკი

**ფინიშის** მოახლოებასთან ერთად გამძაფრდა ბრძოლა რიგის საერთაშორისო ტურნირში. ბოლო სამ (X, XI, XII) ტურში 11 პარტია გადაიდო. 12 ტურის შემდეგ ლიდერთა მდგომარეობა ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული.

კვლავ წინ არის ვ. ცეშკოვსკი (კრასნოდარი) — 7,5 ქულა და ორი გადადებული პარტია (ერთი მათგანი მ. ტალთან). მ. ტალს 7 ქულა და ასევე ორი გადადებული პარტია აქვს, ა. ვიტოლინშს (რიგა) 6 ქულა და სამი გადადებული პარტია (ლ. ფოგტთან, ა. გიპსლისთან, ბ. ივკოვთან).

გათამაშდება კიდევ სამი ტური.

* * *

**ქალაქ** პალო-ალტოში დამთავრდა აშშ-ს ღია ჩემპიონატი, რომელიც ტრადიციისამებრ შვეიცარიული სისტემით ჩატარდა. ბრძოლა იმდენად დაძაბული იყო, რომ ფინიშის სწორი ერთდროულად გადაკვეთა ხუთმა მოჭადრაკემ — დიდოსტატებმა ფ. გეორგიუმ (რუმინეთი), ლ. კრისტიანსენმა, ოსტატებმა ჯ. სილმენმა, ნ. დეფირნიანმა და ჯ. მეიერმა (ყველა — აშშ).

* * *

**პოლონეთის** ქალაქ პოლიანიცა-ზდრუის საერთაშორისო ტურნირში სსრ კავშირის, უნგრეთის, ბულგარეთის, გდრ-ის, პოლანდიის, შვეციის 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — დიდოსტატი ვ. კუპრეიჩიკი და საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩეხოვი.

პოლონელმა დიდოსტატმა ვ. შმიდტმა დასკვნით ტურში მოგებით დაამთავრა პარტია, 9 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაიკავა. კუპრეიჩიკი მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩა. III ადგილი ხვდა ჩეხოვს — 8.

● რეგბი

**როგორც** ვიუწყებოდით, მოსკოვში ტარდება რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის რეგბის ფედერაციის პრიზზე.

ასპარეზობის პირველ დღეს იტალიის სტუდენტთა ნაკრებისა და იუგოსლავიის ქალაქ პანჩევოს „დინამოს“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 22:0, პოლონეთის ნაკრები დამარცხდა „ნიპონ სტილთან“ (იაპონია) — 18:25, ჩვენი ქვეყნის I და პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდების ორთაბრძოლა მოიგეს I ნაკრების რეგბისტებმა — 19:12.

მეორე ტურში იაპონელებმა დაამარცხეს იუგოსლავიელები — 26:13, საბჭოთა კავშირის პირველმა ნაკრებმა მოუგო პოლონეთის გუნდს — 26:3, ხოლო ჩვენი ქვეყნის პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების ნაკრებმა (მისი მწვრთნელია თბილისელი დავით კილასონია) დაამარცხა იტალიელი რეგბისტები — 15:0.

● წყალბურთი

**ბელგრადში** დამთავრდა წყალბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ყველას აჯობა გფრ-ს გუნდმა, რომელმაც ფინალურ მატჩში დაამარცხა იუგოსლავიის პირველი ნაკრები — 6:5. მესამე ადგილი წილად ხვდათ აშშ-ს წყალბურთელებს.

ამ ქვეყნების გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ესპანეთის, რუმინეთისა და იუგოსლავიის მეორე ნაკრები გუნდები.

რედაქტორი ა. ბასილაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17

ИНДЕКС 66435

უე 14916